საქართველოს
საავტორო უფლებათა
ასოციაცია
კოლექტიური მართვის ორგანიზაცია

წლიური ანგარიში 2022

სარჩევი

02 შესავალი
03 წარმომადგენლობა
05 განაკვეთები
06 ლიცენზირება
09 სასამართლო
10 ჰონორარის შეგროვება
14 ჰონორარის განაწილება-გადახდა
17 საზოგადოებრივი ცნობიერება
18 საჯაროობა-გამჭვირვალობა
19 სამომავლო გეგმები

შესავალი

გასულ წელს, პოსტ-პანდემიური პერიოდიდან გამომდინარე, ქვეყანაში ეტაპობრივად ამოქმედდა თითქმის ყველა ის ინდუსტრია, რომელიც რეგულარულად იყენებს საავტორო და მომიჯნავე უფლებით დაცულ ობიექტებს საკუთარ საქმიანობაში. მიუხედავად ბიზნეს სექტორში კვლავ არსებული რთული სიტუაციისა და რუსეთის ხელშეწყობით მოქმედი უკანონო ორგანიზაცია GERA-ს კვლავ აქტიურობისა, შევძელით და მივუახლოვდით ჰონორარის შეგროვების იმ ნიშნულს, რაც პანდემიამდე, 2019 წელს გვქონდა.

უკანონო ორგანიზაციის მიერ ჩვენ საქმიანობაში ხელის შეშლა გამოიხატებოდა არამარტო მოსარგებლეებისგან ჰონორარის გადახდის უკანონო მოთხოვნასა და უფლების მფლობელებისთვის რუსეთიდან მიღებული ფულის თითქოს ჰონორარის სახით შეთავაზებაში, არამედ ასოციაციის მისამართით არაერთი ცრუ და დაუსაბუთებელი ბრალდების გავრცელებაში.

ხელისშემშლელი ფაქტორების მიუხედავად, კვლავ აქტიურად მიმდინარეობდა როგორც ახალი უფლების მფლობელების ასოციაციაში გაწევრიანება და ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებების გაფორმება, ასევე ახალი მოსარგებლეების ლიცენზირება.

პარალელურად, საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტში აქტიურად განიხილებოდა საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში საკანონმდებლო რეფორმის გატარების საკითხი, რაშიც, საერთაშორისო ქოლგა ორგანიზაციების და სფეროს ექსპერტებთან ერთად, ჩვენც ვიყავით ჩართული.

საბოლოო ჯამში, წლის ბოლოსთვის ჩვენ წინაშე კვლავ არაერთი გამოწვევა იდგა, რომლის წარმატებით გადალახვისთვისაც, მომავალშიც დიდი ძალისხმევა იქნება გაღებული.

წარმომადგენლობა

2022 წლის განმავლობაში, რუსეთის მიერ შექმნილი ორგანიზაცია კვლავაც აქტიურად განაგრძობდა ასოციაციის წევრების გადაბირებას, თუმცა საგულისხმოა, რომ მათთან აფილირებული ადამიანების სრული უმრავლესობა არასოდეს ყოფილა ჩვენი ასოციაციის წევრი და შესაბამისად, გაურკვეველია, საერთოდ არიან თუ არა ისინი საავტორო და მომიჯნავე უფლების მფლობელები. პარალელურად, გასული წლის განმავლობაში, გაიზარდა ჩვენი წევრების რაოდენობა.

ასოციაციას შემოუერთდა 47 წევრი

მუსიკის ავტორი	ტექსტის ავტორი	შემსრულებელი	რეჟისორი	ლიტერატურული ნაწარმოების ავტორი
10	4	28	3	2

გასული წლის ბოლოსთვის ასოციაციის წევრების საერთო რაოდენობამ შეადგინა 2087 საავტორო და მომიჯნავე უფლების მფლობელი

2022 წელს განახლდა და გაფორმდა ახალი ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებები სხვადასხვა ქვეყნის კოლექტიური მართვის ორგანიზაციებთან, საავტორო და მომიჯნავე უფლებების სხვადასხვა სფეროში. გაფორმდა ოთხი ხელშეკრულება, მათგან სამი ხელშეკრულება საავტორო უფლებების სფეროში და ერთი მომიჯნავე უფლებების სფეროში.

საავტორო უფლებების სფერო

- **NCIP - ბელორუსი**
- **SIIP - უზბეკეთი**
- **UARA - უკრაინა**

მომიჯნავე უფლებების სფერო

- **ADAL - ყაზახეთი**

განაკვეთები

გასულ წელს, ასოციაციის განაკვეთებში, ძირითადად ტექნიკური ხასიათის ცვლილებები შევიდა. გაიზარდა მაკორექტირებელ კოეფიციენტებში ერთი სახის ობიექტების რაოდენობათა არეალი, რაზეც ვრცელდება ფასდაკლებები.

გარდა ამისა, სპორტული სახის ღონისძიებებში შეიცვალა დაანგარიშების მექანიზმი და დასაჯდომი ადგილების ნაცვლად, არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, განისაზღვრა რეალიზებული ადგილები.

ამასთან, გაუქმდა მექანიკური რეპროდუცირების განაკვეთი, რომელიც ვრცელდებოდა ფიზიკური რეპროდუცირების შემთხვევებზე, რადგან ასეთი პრაქტიკა აღარ არსებობს ბაზარზე მისი ციფრული პროდუქციით ჩანაცვლების გამო.

ლიცენზირება

გასული წელი საკმაოდ აქტიური იყო ლიცენზირების მიმართულებით. პანდემიის გამო შემოღებული შეზღუდვების გაუქმების შემდეგ, მოსარგებლეებმა განაახლეს საქმიანობა და ასევე გაიხსნა არაერთი ახალი ბიზნესიც.

აქტიურად დაიწყო მუსიკის აღრიცხვის პლატფორმა MusMus-ის (www.musmus.ge) დანერგვა. პლატფორმის მეშვეობით, სრულად აღირიცხება მოსარგებლეების მიერ გამოყენებული მუსიკის შესახებ ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს შეგროვებული ჰონორარის განაწილების პროცესს.

მოხერხდა რამდენიმე შეთანხმების გაფორმება ე.წ Private Copying -ის სფეროში. თუმცა კვლავ გრძელდება მოლაპარაკებები ამ სეგმენტის მოსარგებლეებთან სფეროს სრული ათვისების მიზნით. საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ფიზიკური პირების მიერ პირადი სარგებლობის მიზნით რეპროდუცირებისთვის ჰონორარის გადახდა ევალებათ ისეთი მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების დამამზადებლებსა და იმპორტიორებს, რომლის საშუალებითაც/ რომელზეც შესაძლებელია მუსიკალური და აუდიოვიზუალური ნაწარმოების რეპროდუცირება (ჩაწერა).

ლიცენზირების მაჩვენებელი თვეების მიხედვით			
თვე	თბილისი	რეგიონი	ჯამი
იანვარი	25	9	34
თებერვალი	18	13	31
მარტი	25	11	36
აპრილი	45	12	57
მაისი	41	10	51
ივნისი	53	17	70
ივლისი	23	9	32
აგვისტო	29	7	36
სექტემბერი	54	10	64
ოქტომბერი	57	0	57
ნოემბერი	53	4	57
დეკემბერი	64	1	65

ლიცენზირების მაჩვენებელი სეგმენტების მიხედვით

ჰორეკა	411
ტელესამაუწყებლო ორგანიზაცია	3
რადიოსამაუწყებლო ორგანიზაცია	1
მოცდითი მუსიკა	9
თეატრი	23
რეკლამა	14
მასობრივ-სანახაობითი ღონისძიება	102
სპორტული ღონისძიება	16
გამოცემა-რეპროდუცირება	11

სასამართლო

გასულ წელს, სასამართლო დავები მიმდინარეობდა ისეთ მოსარგებლეებთან, ვინც, კანონის მოთხოვნის მიუხედავად, თავს არიდებდა ლიცენზიის აღებას და ჰონორარის გადახდას. დავები წარმოებდა ისეთ მოსარგებლეებთანაც, ვინც არ ასრულებდა არსებული ლიცენზიით აღებულ ვალდებულებებს.

კვლავ თბილისის პირველი ინსტანციის სასამართლოს წარმოებაშია დავა რუსეთის მიერ შექმნილი უკანონო ორგანიზაცია GERA-ს წინააღმდეგ. მიუხედავად საქმის განხილვის გაჭიანურებისა, ვიმედოვნებთ, რომ ეს დავა, მიმდინარე წელს, ჩვენ სასარგებლოდ დასრულდება.

ჰონორარის შეგროვება

ლიცენზირების აქტიური პროცესის შედეგად საგრძნობლად გაიზარდა 2022 წელს შეგროვებული ჰონორარის ოდენობა, რაზეც პანდემიის გავლენის შესუსტებამაც იმოქმედა. შეგროვების მაჩვენებელი გაიზარდა არამარტო ქვეყნის შიგნით, არამედ საზღვარგარეთიდან გადახდილი ჰონორარის ოდენობის კუთხითაც. მიუხედავად საგრძნობი წინსვლისა, პროგრესს კვლავ აფერხებს უკანონო ორგანიზაციის საქმიანობა, რაც აჭიანურებს მოსარგებლეებთან მოლაპარაკების წარმატებით დასრულების დროს და შესაბამისად, ხელს უშლის ჰონორარის შეგროვების პროცესს.

ჰონორარის შეგროვების საერთო მაჩვენებელი

ჰონორარის სახით შეგროვდა 5 412 250.47 ლარი

საავტორო უფლებებზე	მომიჯნავე უფლებებზე	საქართველოში	საზღვარგარეთის პარტნიორი ორგანიზაციების მეშვეობით
4 342 856.35	1 069 394.12	5 309 444.70	102 805.77

ჰონორარის შეგროვების მაჩვენებელი თვეების მიხედვით

იანვარი	278 808.38	ივლისი	442 747.27
თებერვალი	263 390.91	აგვისტო	460 276.30
მარტი	544 542.52	სექტემბერი	430 555.20
აპრილი	308 013.26	ოქტომბერი	494 819.11
მაისი	487 475.17	ნოემბერი	511 520.98
ივნისი	375 178.02	დეკემბერი	814 923.35

ჰონორარის შეგროვების მაჩვენებელი სეგმენტების მიხედვით საქართველოში

ჰორეკა	3 265 599.17	კინოთეატრი	11 641.96
ტელესამაუწყებლო ორგანიზაცია	508 898.08	რეკლამა	32 240.11
სატრანზიტო ოპერატორი	869 246.31	მასობრივ-სანახაობითი ღონისძიება	97 771.56
რადიოსამაუწყებლო ორგანიზაცია	101 703.30	სპორტული ღონისძიება	13 167.51
სტრიმინგი	41 699.73	მუზეუმი	1 178.19
მოცდითი მუსიკა	33 314.20	გამოცემა-რეპროდუცირება	44 184.00
თეატრი	245 583.41	საჯარო თხოვება	43 217.17

ჰონორარის შეგროვების მაჩვენებელი საზღვარგარეთის პარტნიორი ორგანიზაციების მიხედვით

AKM ავსტრია	1 930.14
AKKA/LAA ლატვია	556.78
ASCAP აშშ	1 360.36
BMI აშშ	471.76
BUMA ჰოლანდია	2 770.09
CPRA იაპონია	416.41
GEMA გერმანია	15 783.06
JASRAC იაპონია	12 743.66
KODA დანია	2 226.62
MLC აშშ	784.44
NCIP ბელორუსი	3 559.23
NUOVO IMAIE იტალია	127.94
PRS გაერთიანებული სამეფო	21 008.60
SACD საფრანგეთი	1 162.15
SOFAM ბელგია	28 765.63
SUISA შვეიცარია	5 167.90
TEOSTO ფინეთი	385.11
TONO ნორვეგია	1 169.75
UBC ბრაზილია	39.76
UCMR-ADA რუმინეთი	1 016.57
ZAIKS პოლონეთი	1 359.81

ჰონორარის განაწილება-გადახდა

განახლდა და დაიხვეწა ჰონორარის განაწილება-გადახდის არსებული ტექნოლოგიები და პროგრამული უზრუნველყოფები, როგორც საავტორო, ასევე მომიჯნავე უფლებების სფეროში, რაც უზრუნველყოფს, ასოცაციის, როგორც საერთაშორისო ქოლგა ორგანიზაციების (CISAC, IFRRO, SCAPR) წევრის, ამ ორგანიზაციების მეშვეობით შემუშავებულ მსოფლიო რეპერტუართან (ბაზებთან) წვდომას, და რის გარეშეც საკუთარი რეპერტუარის ინტეგრირება და ჰონორარის განაწილება-გადახდა შეუძლებელია.

ჰონორარის განაწილება-გადახდის პროცესის მეტი სიზუსტისთვის, ვეყრდნობით არამარტო მოსარგებლეების მიერ მიღებულ ინფორმაციას, რისი მოწოდებაც, კანონით მათი ვალდებულებაა, არამედ, ჩვენ მიერ დანერგილ, ინფორმაციის მოპოვების ისეთი ტექნოლოგიებსაც, როგორიც არის ტელევიზიების სეგმენტში, მუსიკის იდენტიფიცირების პროგრამა ACRCloud-ი და ჰორეკას სექტორში, აღრიცხვის სისტემა MusMus-ი.

წლის განმავლობაში გადახდილია 1 854 200 ლარი

- ადგილობრივი 696 წევრისთვის 1 005 311 ლარი
- საზღვარგარეთის 34 პარტნიორი ორგანიზაციისთვის 848 889 ლარი

სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილია 1 352 442 ლარი

- დღგ 813 942 ლარი
- საშემოსავლო გადასახადი 534 500 ლარი
- ქონების გადასახადი 4 000 ლარი

ჰონორარის გადახდის მაჩვენებელი საზღვარგარეთის პარტნიორი ორგანიზაციების მიხედვით

UCMR-ADA რუმინეთი	937.34	MSG თურქეთი	1 186.71
ABRAMUS ბრაზილია	668.97	SACM მექსიკა	1 350.99
AMRA აშშ	2 425.71	SADAIC არგენტინა	3 150.7
APRA ავსტრალია	14 023.8	SCD ჩილე	2 307.39
ASCAP აშშ	148 404.7	SOCAN კანადა	17 784.77
BMI აშშ	172 010.99	UBC ბრაზილია	6 439.27
JASRAC იაპონია	11 153.54	ZAIKS პოლონეთი	831.66
MESAM თურქეთი	9 656.07	ACUM ისრაელი	1 360.85

ჰონორარის გადახდის მაჩვენებელი საზღვარგარეთის პარტნიორი ორგანიზაციების მიხედვით

AKM ავსტრია	4 150.58
ALCS გაერთიანებული სამეფო	444.74
ARTISJUS უნგრეთი	747.43
BUMA ნიდერლანდები	9 315.08
GEMA გერმანია	46 171.77
IMRO ირლანდია	1 752.86
KODA დანია	4 580.63
PRS გაერთიანებული სამეფო	163 701.33
UIM BV გაერთიანებული სამეფო	20 074.5

SACD საფრანგეთი	6 264.61
SACEM საფრანგეთი	53 559.2
SGAE ესპანეთი	12 382.01
SIAE იტალია	28 365.13
STIM შვედეთი	18 185.54
SUISA შვეიცარია	9 854.06
TEOSTO ფინეთი	1 592.6
TONO ნორვეგია	2 410.59
GMI Rights Management	71 643

საზოგადოებრივი ცნობიერება

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ამ მიზნით, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ როგორც უფლების მფლობელებს, ასევე საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცული ობიექტებით მოსარგებლეებს. შედეგად, ეს ხელს უწყობს საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში დარღვევების შემცირებას და ჰონორარის ეფექტურად შეგროვებას.

2022 წელს მონაწილეობა მივიღეთ საავტორო უფლებების დაცვისა და კოლექტიური მართვის სფეროში, ევროპის იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტთა ასოციაციის (ELSA) საზაფხულო სკოლის ფარგლებში გამართულ კონფერენციაში, რომელიც აშშ-ის სავაჭრო სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) დაფინანსებითა და საქპატენტის ორგანიზებით 10-15 ივლისს გაიმართა. განსხვავებით წინა, 2020-2021 წლებისგან, როდესაც პანდემიის გამო, ეს ღონისძიება ონლაინ ტარდებოდა, სემინარი ჩატარდა ფიზიკურად, როგორც ქართველი, ასევე ევროპის სხვა ქვეყნების სტუდენტების მონაწილეობით.

სამწუხაროდ, აშშ-ის სავაჭრო სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) მხარდაჭერით ვერც 2022 წელს მოხერხდა ყოველწლიური სემინარის ჩატარება მოსამართლეებისა და ჟურნალისტებისათვის.

2022 წლის მიწურულს, საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის ორგანიზებით, საქპატენტის და ასოციაციის მონაწილეობით, შედგა საჯარო განხილვა საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროში არსებული პრობლემატიკის შესახებ და დაიგეგმა რეფორმა, რომელიც, დიდი ალბათობით, მიმდინარე წელს დასრულდება.

საჯაროობა-გამჭვირვალობა

საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონი, კოლექტიური მართვის ორგანიზაციების საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ პრინციპად საჯაროობას და გამჭვირვალობას ადგენს. შესაბამისად, ეს პრინციპი, ჩვენ საქმიანობაში ფუნდამენტურ როლს ასრულებს.

გარდა ყველა საჯარო დოკუმენტის ვებსაიტზე გამოქვეყნებისა და საქმიანობის შესახებ სხვა ინფორმაციის ასევე სოციალური ქსელების მეშვეობით გავრცელებისა, კოლექტიური მართვის ორგანიზაციის საქმიანობის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საჯარო ინფორმაცია დაუბრკოლებლად, პირადადაც მიეწოდება ყველა დაინტერესებულ პირს, მათ შორის ჩვენ ყველა წევრს და ეძლევა დეტალური განმარტებები საკითხში უკეთ გარკვევის მიზნით.

საჯაროობის და გამჭვირვალობის კუთხით ასევე მნიშვნელოვანია ყოველწლიური საქმიანობის ანგარიში, რომელიც მიეწოდება არამარტო წევრებს, საქპატენტს და ქვეყნდება ასოციაციის ვებსაიტზე, არამედ ეგზავნება საერთაშორისო ქოლგა ორგანიზაციებსაც.

სამომავლო გეგმები

სამომავლო გეგმებს შორის ერთ-ერთი პრიორიტეტულია საავტორო და მომიჯნავე უფლებების კანონმდებლობის რეფორმის პროცესში, როგორც ჩვენი, ასევე, განსაკუთრებით, საერთაშორისო ექსპერტების მოსაზრებების და გამოცდილების გაზიარება, და შედეგად, ევროკავშირის შესაბამისი რეფორმის გატარება, რაც არამარტო ხელს შეუწყობს სფეროს განვითარებას, არამედ შეამცირებს დარღვევებს და აღკვეთს უკანონო ორგანიზაციების საქმიანობას.

კვლავ პრიორიტეტად რჩება ლიცენზირების გააფართოვება და შედეგად, ჰონორარის შეგროვების მაჩვენებლის ზრდადი ტენდენციის შენარჩუნება.

მიმდინარე წელს, ასოციაციაში ასევე იგეგმება მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები, რაც კიდევ უფრო ეფექტურს გახდის როგორც ჩვენ საქმიანობას, ასევე მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სფეროს კიდევ უფრო სწრაფად განვითარებას.

შედარებითი ანალიზი